ბახვიჰესი
ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

სოციალური პროგრამის შესრულების შემდეგ ბახვი ჰესი სოციალური ფონდის მეშვეობით დაეხმარება სოფლებს

ინტერვიუ ბახვი ჰესის დირექტორთან, გიორგი აბრამიშვილთან

ბახვი ჰესის პროექტზე მუშაობა ბახვი ჰესის გუნდმა 2021 წელს დაიწყო. პირველი ორი წელი იყო კვლევებისა და პროექტის განხორციელებისთვის ყველა საჭირო ნებართვის მოპოვების ეტაპი. კომპანიის თანამშრომლები აქტიურად მუშაობდნენ, როგორც სახელმწიფო უწყებებთან, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან, გარემოსდაცმველებთან, მედიის წარმომადგენლებთან. იმართებოდა საჯარო დისკუსიები და გაფართოებული შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობა და დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას დისკუსიებსა თუ განხილვებში.

კომპანიის კეთილი ნების საფუძველზე, სხვადასხვა ჯგუფთან ჩართულობის და ორმხრივი კომუნიკაციის შედეგად, ასევე, მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე, შემუშავდა სოციალური პროგრამა, რომელიც 2021 წლის შემოდგომიდან ამოქმედდა. ბახვი ჰესის სოციალური პროგრამა მრავალმხრივია და ამ დროისთვის პროექტების 90% უკვე შესრულებულია.

- ბატონო გიორგი, როგორც ვიცით, ბახვი ჰესის სოციალური პროგრამა წარმატებით ხორციელდება. როგორ მოახერხეთ, რომ ის ყველასათვის მისაღები იყო თავიდანვე?

- პირველ რიგში ვიტყოდი იმას, რომ სოციალური პროგრამა ჩვენმა გარემოსდაცვისა და სოციალური პროექტების გუნდმა შექმნა არა დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად სამშენებლო პერიმეტრთან არსებულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, არამედ სწორედ ამ მოსახლეობასთან ერთად, იმ ადამიანებთან ერთად, ვისთვისაც კეთდებოდა ეს პროგრამა. პირველ ეტაპზე სამშენებლო პერიმეტრთან ახლოს მდებარე სოფლებში კარდაკარის პრინციპით ჩავატარეთ საჭიროებების კვლევა. შემდეგ, ამ კვლევაზე დაყრდნობით გამოვყავით მიმართულებები და ამ მიმართულებებს დავაშენეთ კონკრეტული პროექტები. პროგრამა მოიაზრებს პროექტებს, რომლებიც ფარავს განათლებას - ბაღი, სკოლა, უნივერსიტეტი; ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას - გზები, ხიდები, განათება, წყლის სისტემა; მცირე ბიზნესისა და ტურიზმის ხელშეწყობას - გურული ჩაი, სტუმარ-მასპინძლობის ობიექტები; შშმ პირების გაძლიერება და ა.შ. მართალი ბრძანდებით, როცა ამბობთ, რომ ამ პროექტების 90% პირნათლად შეასრულა ბახვი ჰესმა. ამჟამად გვაქვს რამდენიმე მიმდინარე პროექტი, რომელიც მშენებლობის დასრულებამდე იქნება აქტიურ ფაზაში.

გიორგი აბრამიშვილი, ბახვი ჰესის დირექტორი

- ბატონო გიორგი, შეიძლება ვთქვათ, რომ თქვენმა პროექტებმა ცოტა მაინც შეცვლა ცხოვრების ხარისხი სამშენებლო მოედნის მიმდებარედ არსებულ სოფლებში?

- ვფიქრობ ამის თქმის საფუძველი გვაქვს, რადგან თავისუფლად შეგვიძლია შევადაროთ 2021 წელს არსებული ვითარება და დღევანდელობა ერთმანეთს.

II გვერდზე

შეთანხმება მთისპირის მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტს შორის შედგა, რის შედეგადაც მთისპირის ცენტრალური გზა გაიხსნა

2025 წლის 9 მაისს მთისპირში მცხოვრებმა რამდენიმე ადამიანმა ცენტრალური გზა გადაკეტა, მთისპირში გზის დაგების მოთხოვნით. გზის გადაკეტვის შედეგად, ბახვი ჰესის სამშენებლო სამუშაოები გარკვეული პერიოდით შეჩერდა, რადგან მთისპირის მაცხოვრებლები არ ატარებდნენ მანქანებს სამშენებლო მოედნის მიმართულებით. მოსახლეობის მოთხოვნის პირდაპირი ადრესატი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია იყო.

მთისპირში მერის რწმუნებულის, ვლადიმერ ჩავლეშვილის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტი მზადაა დააგოს გზა თუმცა, ამისთვის საჭიროა დასრულდეს ბახვი ჰესის მშენებლობა, რადგან სწორედ ექსპლუატაციაში შესული ჰიდროელექტროსადგურიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესული დამატებითი გადასახადები მისცემს ოზურგეთის მერიას საშუალებას მიმართოს საჭირო თანხები მთისპირის ცენტრალური გზის რეაბილიტაციაზე.

მოლაპარაკებები მთისპირის მოსახლეობასთან რამდენიმე დღეს გაგრძელდა.

მოლაპარაკებების პროცესში ჩართული იყო, როგორც მუნიციპალიტეტი, კერძოდ, მერი ავთანდილ თალაკვაძე და მერის წარმომადგენელი ვლადიმერ ჩავლეშვილი, ასევე, კომპანია ბახვი ჰესის დირექტორი გიორგი აბრამიშვილი, ტექნიკური დირექტორი არჩილ ძნელაძე და გარემოსდაცვისა და სოციალური პროექტების მენეჯერი დავით კობერიძე. შეთანხმება ერთის მხრივ მთისპირის მცხოვრებლებსა და მეორეს მხრივ, მუნიციპალიტეტს შორის შედგა. მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება გზის დაგების სამუშაოების ჩატარებაზე მას შემდეგ, რაც ჰიდროელექტროსადგური ოფიციალურად შევა ექსპლუატაციაში. ბახვი ჰესის მენეჯმენტმა კი, პასუხისმგებლობა აიღო ჰესის მშენებლობის დასრულებამდე, განსაკუთრებით, ზაფხულის სეზონის პერიოდში, უფრო მკაცრად გააკონტროლოს სატვირთო მანქანების მოძრაობის წესები და ასევე, დამტვერიანების თავიდან აცილების მიზნით, განახორციელოს გზის მორწყვის სამუშაოები. შეთანხმების შედეგად, მოსახლეობამ პროტესტი შეწყვიტა და გზა გაიხსნა.

„მოგეხსენებათ, ბახვი ჰესი ოპერირებს როგორც საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით ასევე, მშენებლობის იმ სტანდარტისა და ნორმის მიხედვით, რომელიც აღიარებულია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში. სოფლის გზებზე სატვირთო მანქანების გადაადგილება ჩვენი შრომისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მკაცრი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს. ჩვენ სპეციალური სწავლება ჩავუტარეთ როგორც კომპანიაში მედროშეებად აყვანილ ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც ადგილზე აკონტროლებენ გზებზე მძიმე ტექნიკის მოძრაობას, ასევე მთისპირის საჯარო სკოლის V -XII კლასის 40 მოსწავლეს, უსაფრთხოებისა და მოძრაობის წესების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. ზაფხულის პერიოდში დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად, გზების მორწყვის სამუშაოები ტარდებოდა მშენებლობის დაწყების პირველივე დღეებიდან და ცხადია, ჩატარდება წელსაც. მაგალითად, შარშან ჯერ ინერტული მასალით მოსწორდა და დაიტკეპნა სოფლის დაზიანებულ გზები, ხოლო შემდეგ, დღის განმავლობაში 3-ჯერ ხდებოდა მორწყვა. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის ეგიდით მიმდინარეობს სამუშაოების წარმოება, გზაზე უსაფრთხო მოძრაობას არეგულირებენ ბახვი ჰესის მედროშეები. ცხადია, წელსაც არაფერი იცვლება ჩვენი კომპანიის რეგლამენტში და უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით წარვმართავთ მძიმე ტექნიკის გადაადგილებას“, - აცხადებს **დავით კობერიძე, კომპანიის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების ხელმძღვანელი.**

სოფელი უკანავა, გზის მორწყვის სამუშაოები

ბახვი ჰესის შესახებ

ბახვი ჰესი მართავს მდინარის მოდინებაზე მომუშავე მცირე და საშუალო ზომის ბახვი 1 და ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტებს, რომლებიც დაგეგმილია მდინარე ბახვისწყალზე.

განსახორციელებელი პროექტები მოქცეულია ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე. მათი ჯამური დადგმული სიმძლავრეა 43 მეგავატი, წლიური დაგეგმილი გამომუშავება კი, 180.5 მილიონ კილოვატსაათია.

რეპორტაჟი

ბახვი ჰესი - გარემოსდაცვა და სტანდარტები

მარიამ ვაჩნაძე, ბახვი ჰესის გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების ოფიცერი

მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვისა და სოციალური პროგრამის თვალსაზრისით არის გარემოზე შეფასების დოკუმენტი.

ეს არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს, ფარავს და არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა გარემოს დაცვა, ტექნიკური და სოციალური საკითხები.

ჩვენ, კეთილი ნების საფუძველზე, ბიომრავალფეროვნების კვლევის პარალელურად ჩავატარეთ დამატებითი კვლევები, რომელიც თავისი შინაარსით ცდება ქართულ კანონმდებლობაში მოთხოვნილი აუცილებელი კვლევების ნუსხას.

2021 წელს, პროექტის კვლევის ეტაპზე, პროექტით დაინტერესებული ჯგუფების რეკომენდაციით, ჩამოვიყვანეთ საერთაშორისო ექსპერტები. სწორედ მათ ჩაატარეს როგორც ბიომრავალფეროვნების კველვა, ასევე, მიკრო და მაკრო კლიმატის კვლევა, ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი, კუმულაციური ზემოქმედების შეფასება.

აღსანიშნავია ისიც, რომ პირველად ჩვენმა საერთაშორისო მკვლევარებმა იპოვეს კავკასიური სალამანდრა ბახვისწყლის ხეობაში.

მანამდე არსებობდა ცნობები, რომ წითელ წიგნში შეტანილი ეს სახეობა ბინადრობდა ხეობაში თუმცა, არავის ჰყავდა თვალით ნანახი. სწორედ, ჩვენმა მკვლევარებმა მიაგნეს მას და მოხდა ამ ფაქტის დაფიქსირება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში და ასევე, სამეცნიერო წრეებში.

საპროექტო არეალში ბინადრობს მურა დათვი, რომელიც არაერთხელ ჰყავთ ნანახი ჩვენს თანამშრომლებსაც.

ჩვენ მაფრთხილებელი ნიშნებიც გვაქვს განთავსებული საპროექტო ტერიტორიაზე - წლის განმავლობაში რამდენჯერმე ტარდება მონიტორინგი გარემოსდაცვის სხვადასხვა მიმართულების შესამოწმებლად.

ეს ვალდებულება გვაქვს, როგორც ადგილობრივი კანონმდებლობით ასევე, მონიტორინგს გვავალდებულებენ ის საერთაშორისო ექსპერტებიც, რომლებმაც ჩაატარეს კვლევები. ისინიც გარკვეული პერიოდულობით ჩამოდიან და აკვირდებიან; ასევე, სწავლობენ თუ რაგორ ვახორციელებთ მათ მიერ გაწერილ სამოქმედო გეგმას, ვალდებულებებსა და შემარბილებელ ღონისძიებებს.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ სადაც გვექნება შესაძლებლობა სრულიად ავირიდოთ თავიდან ზემოქმედება გარემოზე, ხოლო სადაც არ იქნება ამის შესაძლებლობა, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ის ზეგავლენა რაც შეიძლება პროექტის განხორციელების დროს მოხდეს გარემოზე.

კვლევები, რომელიც წლის განმავლობაში 4-ჯერ ტარდება:

- ზედაპირული წყლების ხარისხის მონიტორინგი;
- საპროექტო დერეფანში და მის მიმდებარედ არსებული ჰაბიტატებისა და მცენარეული საფარის, მობინადრე და ვიზიტორი ცხოველების მონიტორინგი;
- მდინარე ბახვისწყლის ბიოლოგიური გარემოს კვლევა;
- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ა) ჰაბიტატის მონიტორინგი; ბ) ცხოველების მონიტორინგი; 3) რეპტილიებისა და ქვეწარმავლების მონიტორინგი; 4) ხმაურის, ვიბრაციისა და დამტვერიანების კვლევა.

#ერთადვაშენებთ

20 მაისი _ ბოლო ზარის დღე

მთისპირის საჯარო სკოლა

ჩხაკაურას საჯარო სკოლა

2025 წლის 20 მაისს საქართველოს სკოლებში ბოლო ზარი დაირეკა XII კლასების მოსწავლეებისთვის, რომლებმაც დაასრულეს საშუალო განათლების მიღების ეტაპი და ცხოვრების ახალ საფეხურზე გადავიდნენ. ჩხაკაურას საშუალო სკოლა წელს 3-მა მოსწავლემ, მთისპირის საჯარო სკოლა კი 8 მოსწავლემ დაასრულა.

ბახვი ჰესის სახელით, გვსურს მივულოცოთ ახალგაზრდებს სკოლის დამთავრება და ვუსურვოთ მათ წარმატებები.

„გჯეროდეთ საკუთარი თავის, ნუ შეგეშინდებათ შეცდომების და გამოწვევების. იყავით ღაღები, მიზანდასახულები, ბეჯითები, თავდაჯერებულები, მაგრამ ამავდროულად იყავით სამართლიანები, პატიოსნები, ადამიანურები და გულკეთილები. გიყვარდეთ სამშობლო და იზრუნეთ ქვეყნის განვითარებაზე“.

სიყვარულით და პატივისცემით,
ბახვი ჰესის გუნდი

ფოტორუბრიკა

სამშენებლო პერიმეტრის სტუმრები ჩვენი თანამშრომლების ობიექტივში

მელა სამშენებლო განაკის მიმდებარე ტერიტორიაზე

მელა (Vulpes vulpes) გურიის ტყეებში ფართოდ გავრცელებული მტაცებელი ძუძუმწოვარია, რომელიც ადაპტირებულია როგორც მთაგორიან, ისე ბარში მდებარე ტყიან ზონაში ცხოვრებისთვის.

გურიის ტყის მელა მარტო ცხოვრების წესს მისდევს. ის ღამის ცხოველია - ძირითადად სიბნელეში ნადირობს პატარა მღრღნელებზე, ფრინველებზე, მწერებზე.

ძალიან ფრთხილი და დაკვირვებულია, ადვილად არ ჩნდება ადამიანის თვალწინ.

მელა კარგად არის შეგუებული გურიის კლიმატსა და ლანდშაფტს. ის ბინადრობს ბუნებრივ სოროებში ან თავად თხრის მათ ფერდობებზე და ხეების ძირში. ხშირად იყენებს მიტოვებულ, მყუდრო, ბუჩქნარიან ადგილებს.

ის, რომ მელა კვლავ ჩანს ბახვი ჰესის სამშენებლო პერიმეტრის მიმდებარედ, ჩვენთვის იმაზე მეტყველებს, რომ გარემოსდაცვის თვალსაზრისით სწორედ იმართება ჩვენი პროექტი.

სოციალური პროგრამის შესრულების შემდეგ ბახვი ჰესი სოციალური ფონდის მეშვეობით დაეხმარება სოფლებს

I გვერდიდან

პირველი, რაც შეგვიძლია ვთქვათ ისაა, რომ ჩვენ პირნალთლად შევასრულეთ დანაპირები და მაქსიმალურად დავასაქმეთ ადგილობრივი მოსახლეობა პროექტზე. ეს კი ნიშნავს ოჯახებში ხელფასის სახით შესულ თანხას, რაც აძლევს საშუალებას ადგილობრივებს გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები. ჩვენ ასევე შესაძლებლობების ფარგლებში პრიორიტეტს ვანიჭებთ ადგილობრივებს, როცა გვჭირდება მძიმე თუ მსუბუქი ტექნიკის დაქირავება, მომსახურების თუ გარკვეული პროდუქტების შეძენა. ჩვენი დანაპირები იყო, რომ პროექტის ბიუჯეტი პრიორიტეტულად დაიხარჯებოდა რეგიონში და ასეც ვიქცევით, იქნება ეს პურის შესყიდვა, თუ ტრაქტორის ქირაობა. რაც შეეხება სოციალურ პროექტებს, შშმ პირები იღებენ ყოველთვიურ დახმარებას 2021 წლიდან და ვფიქრობ, თანხა, რასაც ისინი იღებენ, გარკვეულ პრობლემებს უგვარებს მათ. ვანისქედში, რაც ეს სოფელი არსებობს სულ სუფთა წყლის პრობლემა ჰქონდათ. სოფლის მაცხოვრებლებს სახლში არ მიეწოდებოდათ სუფთა წყალი. შარშან ჩვენ სრულად მოვუგვარეთ ვანისქედელებს ეს პრობლემა. ბახმაროში ენერგოეფექტური განათების სისტემა დავამონტაჟეთ USAID-ის ენერგეტიკულ პროგრამასთან ერთად, გავაძლიერეთ გურული ჩაი და სტუმარ-მასპინძლობის სექტორი USAID-ის ეკონომიკურ პროგრამასთან ერთად, მოვაწესრიგეთ ინფრასტრუქტურა - გზები, ავაშენეთ ახალი ხიდი, საგანმანათლებლო პროგრამებით კი დავეხმარეთ საბავშვო ბაღს, სკოლის მოსწავლეებს ავუმაღლეთ ცნობიერება გარემოსდაცვით და განახლებადი ენერგიების საკითხებზე. ჩვენს მიერ დაქირავებული ტრენერები ეხმარებიან უფროსკლასელებს პროფესიულ ორიენტაციაში, გვყავს სტუდენტები, რომელთა სწავლის საფასურის 80% კომპანია ანაზღაურებს, რადგან ისინი სწავლობენ იმ დისციპლინებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის. ჩვენ მიზანი იყო, ჩვენი პროექტები რომლებსაც ვახორციელებდით აქ, ყოფილიყო ცვლილების მომტანი და ვფიქრობ გამოგვივიდა კიდეც.

- რა იქნება მშენებლობის დასრულების შემდეგ? გაქვთ სამომავლო გეგმები სოციალური თემების მიმართულებით?

როგორც თავში ვთქვით, პროექტების 90% უკვე შესრულებულია და დანარჩენი 10%-იც მშენებლობის დასრულებასთან ერთად შესრულდება. თუმცა, ჩვენ ასე ვერ შევეღეოდით აქაურობას და ვერ შევაჩერებდით მთისპირის თემზე ზრუნვას. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დავდეთ ჩვენი ხედვა და შევათანხმეთ ადგილობრივ თვითმმართველობასთან, რომ ბახვი ჰესი გააკეთებს ფონდს, სადაც ყოველწლიურად ჩაირიცხება გარკვეული თანხა, როგორც კომპანიის კეთილი ნება. ამ თანხის განკარგვის უფლება ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად ექნება მთისპირის თემს და მისი მიზნობრიობა იქნება თემში არსებული სხვადასხვა სოციალური თუ ინფრასტრუქტურული სახის პრობლემის მოგვარება. ვფიქრობ, ამ გზით, ჩვენ არ შევაჩერებთ მთისპირის განვითარებას და ბახვი ჰესი დარჩება პოზიტიური ცვლილებების განმახორციელებლად რეგიონში.